თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 13.01.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. რამინი რობაქიძე, 8. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282201242, 12.01.2022 წ.).

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (აისახა ნაშთი ბიუჯეტში).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 5710.0 ათასი ლარით (გრანტი 3187.0 ათასი ლარი, ნაშთი -1679.3 ათასი ლარი, დღგ 63.0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები და არაფინანსური აქტივები 780.7 ათასი ლარით) და შეადგენს 19210.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 5710.0 ათასი ლარით. 2022 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 1679.3 ათასი ლარი აისახა ბიუჯეტში (აქედან: გასანაწილებელი ნაშთია

1167.5 ათასი ლარი და მიმდინარე ვალდებულებებია 511.8 ათასი ლარი). სხვა შემოსავლების გეგმა გაიზარდა 380.7 ათასი ლარით (პროცენტი 60.0 ათასი ლარი, რენტა 237.0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 3,7 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი 40.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 10.0 ათასი ლარი და ჯარიმები, სანქციები და საურავები 30.0 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდა 400.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2548.0 ათასი ლარი (მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილია 2348.0 ათასი ლარი და 200.0 ათასი ლარი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის). სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 639.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშილმა, მანუცარ ფანჩულიძემ, რამინი რობაქიძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი